# ნიანგი

8

გამოცემის 55-ე წელი, (№ 1522). აპრილი, 1978, ფასი 20 კაპიკი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცას ყვავილებმა ცეცხლი შეუნთეს,
ზეიმით ამცნეს მაისის მოსვლა!
დღეს საქართველოს შვენის მეხუთე
გარდამავალი წითელი დროშა!

ვდღესასწაულობთ! ვსარგებლობთ ახალი
კონსტიტუციით, მიღწევით ჩვენით!
გაეარჯვებათა შუქი დაგვხარის
და სამაისო ზეიმი გვშვენის!



მეგობრული შარჟი ბ. ფირცხალავასი

# ელგუჯა ამაშუკელს

რუსთაველის პრემიას ფლობ! —
არ არსებობს სხვა დიდება!
ღვთაებრივი ნათლის სვეტად
გვადგას შენი **ქართვლის დედა!**

მოქანდაკე შენ ხარ ნაღდი,
იცი გულზე მზის მოდება!
**გორგასალის ძეგლი** დადგი, —
მეტეხის კლდემ იწყო დრეკა!

შენი **შემოსასვლელები**
გულს უხსნიან დედათბილისს!
გყავს ურიცხვი მოთაყვანე —
ჯერ ვერვისგან ვერდათვლილი!

ამკობს პროსპექტს რუსთაველის
შენგან ქმნილი **შოთას ტონდო!**
ყველა შენი ნახელავი
სულ ბაჯაღლო ოქროდ ზოდობს!

მაგარ კახურ ღვინოსავით
მათრობს შენი **ფიროსმანი!**
ხარ ბრწყინვალე ერისკაცი
და კალმოსან-წიგნოსანი!

მონუმენტი დიდებისა —
მშვენებაა ქალაქ ფოთის!
შენი ქანდაკებებიდან
მომნუსხველი ძალა მოდის!

ზესტაფონში **დაჭრილ არწივს**
ეფერება ფეროს მტვერიც!
რამდენი რამ გაკეთე,
კიდევ რამდენს ველოდებით!

მალე გორი გაიხარებს
შენი დიდი **გამარჯვებით!**
ლომზე მზეობს მზეჭაბუკი...
(რქ ვიხილოთ დანარჩენი!)

ფოთში **ქართველ მეზღვაურთა**
წამომართავ **მემორიალს!**
(ნაწყენს ჩვენს სხვა ქალაქებსაც
არ დატოვებ, მე მგონია!)

ჩამწვარი ხარ დიდ ფეხბურთში
და მოედნის სიმწვანეში!
ოქროს მედლის მზის ღამეში
გესიზმრება **მიშა მესხი!**

როგორც გინდა, მკერდს ისე გაქვს
საჭრეთელი მიდებული!
ცოლად გიზის **პოეტი** და
**მეცნიერი დიდებული!**

ვინც პირადად გიცნობს, ყველა
ერთხმად ამბობს: **„ჰა, ბიჭია!“**
შენგან **მიქელანჯელომდე**
რამდენიმე ნაბიჯია!

**ზაურ გოლქვაძე**

## არც მწვალი დასწავა და არც შამფური

*უპასუხისმგებლო* პასუხისმგებელმა მუშაკმა ყურადღებით შეათვალიერა ახალგაზრდა კაცი და არწივისებური მზერა საჩივარზე გადაიტანა, რომელშიც მხილებული იყო რაიონული არტელის უფროსის საქმიანობა ბინების სუბიექტურად განაწილების თაობაზე. საჩივრის ბოლოს შავით თეთრზე გარკვევით მოჩანდა მომჩივანის ხელმოწერა — ტარიელ გაბედულიძე.

— ამას რომ წერ, ყმაწვილო, არ გეშინია? — ჰკითხა ბოლოს.

— რისი, ბატონო? — ტანში ჟრუანტელმა დაუარა მოსულს.

— რისი და, შენ თუ გგონია, ამ საჩივრით თქვენს უფროსს მაშინვე... შენ კი...

— მაგით რისი თქმა გსურთ? — ფერი დაეკარგა მომჩივანს.

— იმის, რომ ახალგაზრდა კაცი ხარ, პერსპექტიული! ამ ამბის შემდეგ კი შენი უფროსი უეჭველად გადაგეკიდება, ყველგან ხელს შეგიშლის... რომ გაწინაურებდნენ, იტყვის, ინტრიგანიაო, ბიჭვინთის საგზურს რომ გაძლევდნენ....

— აბა, რა ვქნა? — ჩაფიქრდა მოსული.

— იქნებ ხელმოწერა მოგეშალა?!

— თუ თქვენ ასე გსურთ... — ცოტა არ იყოს ჭკუაში ჩაუჯდა ნათქვამი ახალგაზრდა კაცს. მან უმალ გადაწერა საჩივარი თავიდან, ხელმოწერის გარეშე, და გულდამშვიდებულმა დატოვა კაბინეტი.

— ესეც ასე! — შვებით ამოისუნთქა უპასუხისმგებლო პასუხისმგებელმა მუშაკმა და საჩივარს წითელი ფლომასტერით ირიბად მიაწერა: „ანონიმურ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება!“

**მალხაზ ცოტაძე**

ნახ. ბ. ხარაბაძისა

— ეს ყანწი მაინც მაპატიეთ, მანქანით ვარ!
— წვეთი არ შეარჩინოთ! ისე გავხადოთ, მანქანამდეც ვერ მიაღწიოს!

## ქარაგმები

- **მაღლა** არავინ ჰყავდა და ყველა მაღლიდან დასცქეროდა.
- **ყველაფერზე** ხელს აწერდა... საჩივრების გარდა.
- **უფროსების** დანახვაზე გული მისდიოდა, ხელქვეითების დანახვაზე — მოსდიოდა.
- **როცა** ვინმეს აწინაურებდნენ, თვითონ დაქვეითებულად გრძნობდა თავს.
- **მანამ** უსვეს თავზე ხელი, სანამ თავზე ხელაღებული არ გამოვიდა.
- **გული** მამინ უთბებოდა, როცა ხელს ითბობდა.
- **სამსახურში** მუდამ ძილს ებრძოდა და მაინც სიფხიზლის მოდუნებას უსაყვედურებდნენ.
- **ჯიბრში** არ ავინ ედგა, ამიტომ წინსვლას ვერ ახერხებდა.
- **იედენი** უწერეს აქტები, სანამ აქტიური არ გახადეს.

**ალმანზორ თავაძე**

# სწორი დიაგნოზი

ადამიანს, ხანში რომ შედის, ქონიც უგროვდება და მარილებიც. ასეა, დროს თავისი გააქვს. მე კი თავის ტკივილი, ყურების ბჟუილი და სისუსტე დამჩემდა. ნაცნობ-მეგობრებმა საერთო დიაგნოზი დამისვეს — წნევა გაქვსო, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმმა რომ შემიმოწმა, წნევა იდეალური აღმომაჩნდა. მან გამ-ახი თვალით ამხედ-დამხედა და კონსპირატიულ ტონით მკითხა:

— ღვინოს სვამ?

— ცოდვა აღიარებული სჯობს.

— ალბათ, თამბაქოსაც ეწევი?

— რათქმაუნდა.

— სხვა?... — უაღრესად მრავალმნიშვნელოვნად მკითხა მან.

— ოჰ! როგორ გეკადრებათ!!

— მდაა... მაშ ასე: არც ერთი სიგარეტი, არც ერთი წვეთი ღვინო. ღვინო, შეკაი კაცო, კაცს კი არა, ქვევრს ხეთქავს. დილდილობით ცოტა ივარჯიშე, ოღნავი დატვირთვა მიეცი გულს და ყველაფერი კარგად იქნება.

ღვინოსაც თავი დავანებე, თამბაქოსაც შევეშვი, მაგრამ თავბრუხვევას ვერაფერი მოვუხერხე. მეტი რა ჩარა იყო, ისევ ექიმს მივაშურე.

მან კარგა ხანს მიტრიალა, ხან მუცელზე დამაჭირა ხელი, ხან ღვიძლზე და, ბოლოს, მოკლედ გადმოაგდო:

— აპენდიციტ!

თქმა და ქმნა ერთი იყო. ორი კვირის შემდეგ თითქოს პირველად მე გამეკეთებინოს, ისეთი იერით ვუყვებოდი ყველა ნაცნობსა და მეგობარს ჩემი ბრძა ნაწლავის ოპერაციის ამბავს, ყოველი დეტალისა და ნიუანსის დაცვით.

სატკივარი კი მაინც ვერ მოვიშორე. სხვა გზა არა მქონდა, ისევ მკურნალს ავუტალახე კარი.

— შენ, მგონი, ღვინოს აღარ სვამ, არა?

— აპა, პა, პა, არც ერთი წვეთი!

— არც თამბაქოს ეწევი?

— სინდისს ვფიცავარ თუ ერთი სიგარეტი ჩამედოს პირში!

— აბა, პირი გააღე!

მე ერთ მტკაველზე დავაფჩინე ხახა.

მან ცალი თვალი გამოაპარა, მაგრამ უცებ დაინტერესდა.

— მოიცა, მოიცა... არ დახურო პირი! შენ მგონი გულსაც უჩივი, არა?

— მმ... დიახ.

— ჰოდა, შენ კიდევ კარგ ჭკუაზე ყოფილხარ... ამხელა კაცი და გლანდები!

მან კოვზის ტარივით ინსტრუმენტი შამფურივით მატაკა პირში და უაპელაციო ტონით განმიცხადა:

— უნდა ამოვიკვეთოთ! ან აქამდე როგორ მოიყოლე ამხელა გლანდები!

სულ რამოდენიმე დღეში ამაღმუვლეს და დასაკლავი ხარივით ამომღადრეს ყელი. რამოდენიმე ხანს თითქოს უკეთ ვგრძნობდი თავს, მაგრამ ურმით შეტანილ სატკივარს კოვზით რა გამოლევს?! ჩემმა ავადყოფობამ ჩქარა გამიხსენა. დაბოღმილი ისევ ექიმისაკენ გავეშურე. არ ვიცი ეს ვიზიტი რით დამთავრდებოდა, რომ გზად ვიტრინაში იმპორტულ თეთრი პერანგებისათვის არ მომეკრა თვალი და მაღაზიაში არ შევსულიყავი.

ნახ. გ. ფირცხალავასი





## უსიტყვოდ

ნახ. გ. ლომაძისა

— მანეთი და თექვსმეტი კაპიკი?! მადლობა ღმერთს, ამასაც მოვესწარი!

სუფთად გაპარსული, აკურატული, ასე, ჩემი ხნის გამყიდველი მაშინვე მომეახლა.

— ერთი საროჩკა მომეცით. — დაუდევრად გადავუგდე მე.

— რა ნომერი პერანგი გნებავთ? — მან „პერანგი“ ხაზგასმით აღნიშნა. სწორედ კარგი დრო გამომინახა დედა ენის სიწმინდის დასაცავად, მოსცლია ერთი ამას...

— დიახ, პერანგი, ორმოცი ნომერი პერანგი!

მან დაკვირვებით შემათვალიერა და კომპეტენტური ტონით განმიცხადა:

— თქვენ ორმოცი კი არა ორმოცდაერთი გჭირდებათ.

— მე ყოველთვის ორმოცს ვატარებ! — გაღიზიანებული ტონით ვუთხარი მე.

— უკაცრავად, მაგრამ... თქვენ თავბრუხვევას, ყურების ბზუილს და საერთო სისუსტეს ხომ არ გრძნობთ?

გაოცებულმა ჩემდაუნებურად დავუქნიე თავი ამ საოცარ გულთმისანს.

— აპენდიციტი, გლანდები უკვე აღარა გვაქვს?

მან სალოკი და შუა თითები მაკრატელივით დაკრა ერთმანეთს.

— დიახ, უკვე. — ამოვიკვნესე მე.

— ზუსტად ჩემს დღეში ყოფილხართ, მეც გადავიტანე ეგ ოპერაციები. იმიტომ, რომ ორმოც ნომერ პერანგებს ვატარებდი, სინამდვილეში კი, თურმე, ორმოცდაერთი მჭირდებოდა! დიახ!

— კი, მაგრამ, ეგ რა შუაშია?... — ვერაფერი გავუგე მე ამ აბდაუბდას და ყოველი შემთხვევისათვის უკან დავიხიე.

მან მოწყალედ გამიღიმა და ახალი აღმოჩენის ბედნიერი სხივით სახეგაბრწყინებულმა მომიგო:

— იმ შუაშია, რომ ვიწრო საყელო საძილე არტერიებს აწვება და იწვევს ყველა ამ სიმპტომს — თავბრუხვევას, ყურების ბზუილს, საერთო სისუსტეს...

ვაკვირვებისაგან მე მხოლოდ ხელების გაშლა მოვახერხე.

— დიახ, დიახ, აი, ინებეთ, — ღიმილით გამომიწოდა მან შეკრული. — ეს ორმოცდაერთნახევარია. მოგეხსენებათ, ასეთი თეთრეული გარეცხვისას შედგება ხოლმე... — მცოდნე კაცის იერით დაამატა მან.

ფული გადავიხადე და სახლში ძალზე აჩქარებული ნაბიჯით დავბრუნდი.

მას შემდეგ ორმოცდაორ ნომერ პერანგებს ვატარებ და შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

ზ. ბ.

ნახ. მ. აბაშიძისა

— რას მეუბრაენ?! კამპოზეფისათვის არ მინდა შესანანი ადგილი?!

## მითი იანუსზე

**კარგად რომ ვიხილოდე ფესვი და ძირი,**
**მითის ქრონიკა შევიკრიბ ყალბად:**
**ჯერ კაცს გაუჩნდა მეორე პირი,**
**მერე ღვთაებამ მიბმაბა ალბათ, —**
**ერთი სათნო და მეორე მკაცრი,**
**გამოიჩინა ორივე სახე:**
**არ შეინიღბა, ვითარცა კაცი**
**და ორპირობას აწკარად ამხელს.**
**იანუსივით გამოკვეთილად,**
**აბა, როდი აქვს კაცს ორი სახე,**
**მაგრამ ერთი რომ გიმზერს კეთილად,**
**მეორე გიგებს ეერაკუთხ მახეს!**

ზოთა აპირანაშვილი

## ფრაზები

● **გაკეთებულ** ღვინოს ასმეცვნენ და... ბოთლინების ფიალა მაინც არ ეუსებოდა.

● **მეკარე** — „მე ფეტბურთს ვთამაშობო“ — და ...ხელს არ ანთრეკდა.

● **ხელი** რომ ჩაკოკა. ჯაკეში მაშინ ჩავარდა.

● **შორსმფარეტელი** იყო. მაგრამ წინდახედულად აყლდა.

● **გესლიანი** სიტყვები მომწყალოვასო და... არ ლაპარაკობდა. წერდა მხოლოდ.

ალექსი ოქროკიბრიძე

— ვის ელოდეთ ამდენი ხანი?
— მოსკოვის მატარებლის ვაგონრესტორანს, ჩეხური ლუი მოკაფთ!..

ნახ. ბ. ...




**ფეხბურთელ** მაღვიძარაზე ზეტად ღილის შეიდ საათზე დარეკავ, შეეახლის მამაკაცს თვალი გაახილა, მერე ხანა ეაზრიოდ ეაქარა **ჩეხეური** ბროლის ჭიქის, ძლივს ამოუა თავი **ეკეიტერი** ბალიშის პირიდან და ეაფრქა: „ოეეეეს! შეეოფილი **მინეკინეეური** ტრანზისტორი ჩართო. ოთახში **არაეერაენული** ტანეოს ჰანგები დაირხა. „კაცი **უნგრულად** საწოლოდან წამოდგა, ფეხები **პოლონურ** ფლოსტებში ჩაეო და ეარ თ ეკ ეა ვალ ბოლოს, შემოეკ საწოლის ეერ დაკვეთ **ავდაეერ** ნოხზე ორი ნაბიჯი გადადგა, **ფრანგულ** სკამზე გადაკიდებულ **ეხასნერ** ხალთას დამაეოდა და ჩანეკი. „ეერ **მეეხეკეონი** შარვალი ამოიკეეი და ეაბერა ოთახისკენ ეკიდმერე, ჩიმმელეკ **ეერმანულ** ეკიდერეეთ ეკიდმერე, ეაბერეეკ ეკიდეეკ. ეკიდეეკ ეკიდეეკ“ — ეაბერა

## სულ რეკლამის ბრალია!..

მე ვეწევი „ივერიას“,
ჩემი ძმა კი — „კოლხეთს“,
მეზობელი წრუპავს „ბეტეს“ —
გულის მოსაოხებს.
ბიძაშვილი „ლუქსს“ ეწევა,
ორი ქვისლიც — „რიწას“,
„პრიმას“ ქაჩავს ცოლისძმა და
ფერითა ჰგავს მიწას.
დეიდაშვილს ხელიდან
ვერ აცლიან „გრუზიას“,
ამიტომაც, საწყალი,
დაემგვანა კუზიანს.
მამაჩემი „შეექცევა“
„თბილისსა“ და „დაისს“,
მისულია სულთახდამდე,
ვერ მოილევს გაისს.
ზოგი „მზიურს“ ეტანება,
ზოგიც — „კურორტს“, „ლაიკას“,
ბევრი „ყაზბეგ“-„პამირისთვის“
შემოიხევს „მაიკას“.
ზოგსა ხიბლავს „ინტერი“,
ბევრს ისე აქვს „მალბორო“, —
უხეშად და უადგილოდ
ცხვირში რომ მოგაბოლოს.
ფერად-ფერად კოლოფებში
ჩაწყობილი თამბაქო
კაცს კი არა, ეშმაკს შეკრავს!...
(ზოგ ქალებსაც თან აქვთო!)
სიგარეტის მწევლებს ნახავთ
სამ, ოთხ, ხუთ, ექვს ბალიანს...
დამიჯერეთ: ვინც ეწევა,
სულ რეკლამის ბრალია!..

ვაჟა ჩოხარდელი

**ამერიკის** შეერთებული შტატების მთავრობამ ახალი სენსაციური განცხადება გააკეთა: „ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად“ მიეყიდოს მახლობელი აღმოსავლეთის სამ სახელმწიფოს 4,8 მილიარდი დოლარის თვითმფრინავები. აქედან, ისრაელს — 15 გამანადგურებელი-ბომბდამშენი „F-15“ (იმ 25-ს გარდა, რომელიც უკვე მიეყიდა) და 75 „F-16“ ტიპის გამანადგურებელი — სულ 115 თვითმფრინავი. საუდის არაბეთს — 60 გამანადგურებელი-ბომბდამშენი „F 15“ და ეგვიპტეს 50 გამანადგურებელი „F—5“.

ნახ. გ. ლომბიძისა

ძია სემის დუქანი

# წერილის კალთაში

**რედაქციაში** შემოსულ წერილში თბილისის **ბალნეოლოგიური კურორტის სტაციონარის ავადმყოფები** გვწერდნენ ნაკლოვანებათა შესახებ **ბალნეოლოგიურ კურორტზე.**

**ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა სამმართველოდან** რედაქციას მოსწერეს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა.

ამჟამად ბალნეოლოგიური კურორტის საბაზანო განყოფილებაში დაწყებული კაპიტალური შეკეთების გამო დაიკეტა საბაზანოს ერთი ფლიგელი, შეკეთების დამთავრების შემდეგ დაიკეტება მეორე. საბაზანოების შეკეთების დამთავრების შემდეგ გამოსწორებული იქნება წერილში აღნიშნული სხვა ხარვეზებიც.

* * *

**გორის** რაიონის **სოფელ შინდისის მცხოვრებნი** გვწერდნენ: სოფელში სასმელი წყალი არა გვაქვს და ქუჩები ჩაბნელებულიაო.

**გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიდან** რედაქციას შეატყობინეს, რომ წერილში აღნიშნული სინამდვილეს შეეფერება:

უახლოეს ხანში, ცენტრალური გზის გაფართოების სამუშაოების დამთავრებისთანავე, მოგვარებული იქნება ქუჩების განათება;

ვარიან-ცხინვალის სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობა დამთავრდება 1978 წლის ბოლოსათვის, რის შემდეგაც, შინდისი და ამ ზონაში განლაგებული სხვა სოფლებიც, მიიღებენ დამატებით სასმელ წყალს.

* * *

**რედაქციაში** გამოგზავნილ წერილში ამხელდნენ უკანონობებს **დუშეთის** რაიონის სოფელ **უვავილის** რვაწლიანი სკოლის მშენებლობის საქმეში.

**დუშეთის სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა** შეისწავლა წერილში აღნიშნული და გვაცნობა, რომ ფაქტები დადასტურდა. სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა შემოწმების შედეგებზე და მშენებლობის მთავარ ინჟინერს **გ. ტაბიძეს** სათანადო კონტროლის განუხორციელებლობისათვის გამოუცხადა საყვედური, ხოლო სამუშაოთა მწარმოებელი **ზ. კიკნაძე** დარღვევებისათვის გადაეყენა თანამდებობიდან.

* * *

**ცაგერის** რაიონიდან რედაქციას სწერდნენ **ლაჯანა-ლაცორიის ხიდის უვარგისობაზე.**

სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს აღმასკომმა მოგვწერა, რომ ლაჯანა-ლაცორიის ხიდი კაპიტალურად შეკეთდა.

ნახ. ვ. კუცერასი

უსიტყვოდ



ნახ. ა. ოვრეტკვირიძისა

უსიტყვოდ

# გვეკითხებიან, ვუპასუხებთ!

**ა/წ** 24 თებერვალს უნივერსიტეტის თანამშრომლები **კინოთეატრ „ყაზბეგს“** ვეწვიეთ. მოლარეს 4 ბილეთი ვთხოვეთ. ქალი გაოცდა — 4 ბილეთი საიდან მოვიტანოო?! ჩვენ ხვეწნა-მუდარით ავავსეთ სალარო. მოლარეს შევეცოდეთ და 4 ბილეთი მოგვიხია. შევედით ცარიელ დარბაზში. ვიფიქრეთ, ორი წუთი რომ დააკლდება კინოს დაწყებას, დარბაზი გაივსებოდა მაყურებლით. მაგრამ სურათი დაიწყო. კინოლენტი რამდენჯერმე გაწყდა და. ბოლოს, სინათლეც ჩაქრა. სურათის ჩვენება ჩაიშალა. ჩვენ წელში გავიშალეთ და წამოსვლა დავაპირეთ. მაგრამ ვინ გიშვებს? — კარი გულდაგულაა ჩაკეტილი. ვიღაცამ ჩაგვჩურჩულა: აქ ასეა. შემოსვლა თქვენი ნება იყო. გასვლა კინოთეატრის მომსახურე პერსონალისო. „გადახრა ნულზე“ გადიოდა. კინოთეატრის მომსახურება კი...

**პასუხი:** **მოლარე კარგად მოქცეულა! ასე რომ არ მოქცეულიყო, შეიძლება, აღარც თქვენ შესულიყავით ცარიელ დარბაზში. კინოლენტი თუ გაწყდა, კინომექანიკოსის რა ბრალია?! კარის ჩაკეტვა კი მხოლოდ „სტუმართმოყვარეობას“ უნდა დავაბრალოთ! ბა, კინოუნახავებს ხომ არ გამოგიშვებდნენ?!**

* * *

**ვარკეთილის** **საბჭოთა მეურნეობასა და მესამე** მასივის შუა ვცხოვრობთ. **სამგორის წყალსადენის დასახლებას** გვეძახიან და წყალსაც ვყავართ წაღებული. გაზეთის დამტარებელი, გასულ წლებში. საკუთარი სახსრებით დავიქირავეთ. წელს ველარც ამ ხერხით მოვახერხეთ. პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე არ აგვიყვანეს. გარდაბანში წადითო. გარდაბანში გვითხრეს. საქარხნო რაიონს მიაკითხეთო, და დავდივართ ასე წინ და უკან. გთხოვთ დაგვიზუსტოთ, რომელ რაიონს ეკუთვნის ჩვენი სახლი?

**პასუხი:** **წინ და უკან სიარული ძალზე სასარგებლოა, მხოლოდ არა გარდაბანსა და საქარხნო რაიონს შორის, არამედ კულტურისა და დასვენების პარკში. რაც შეეხება მისამართს, თუ რომელ რაიონს ეკუთვნის თქვენი სახლი, შემდეგი საშუალებით დავაზუსტებთ: რაიონი, რომელსაც ეკუთვნის თქვენი სახლი, აუცილებლად გამოგვიგზავნის მოკითხვის ბარათს. ბარათზე მისი მისამართიც ეწერება. ღმერთის წყალობით, კითხვა ჩვენც ვიცით და თქვენც. ჰოდა, წავიკითხავთ, მაგრამ, ვაითუ, ორივე რაიონიდან მოგვივიდეს ერთიდაიგივე პასუხი, მაშინ რაღა ვქნათ?**

**ჟანი სიხარულიძე**

* * *

**ძვირფასო** ნიანგო! გზა **მცხეთის რკინიგზის სადგურიდან ძეგვისკენ** მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიუყვება. ამ გზით მოემართებოდნენ მცხეთის დედაქალაქობის პერიოდში ქარავნები ინდოეთიდან. დიდია მისი ისტორიული მნიშვნელობა. ალბათ ამიტომ **№ 45 საგზაო-საექსპლუატაციო** უბანი თავანკარად ინახავს მის პირვანდელ სახეს და არ უნდა შეკეთებითა და შერემონტებით „დაამახინჯოს“ მდინარე მტკვრის მიერ დანგრეული ჯებირები და საგვერდულები. მართალია, საგზაო მშენებლობის სამინისტრომ ჯერ კიდევ 1976 წელს დაავალა უბნის მესვეურთ ოღროჩოღრო გზისა და ორი ჩანგრეული ჯებირის შეკეთება, მაგრამ რა ძალა აქვს ზემდგომის ბრძანებას, როცა ასეთ „პატრიოტულ თვითშეგნებასთან“ გვაქვს საქმე?!

ამ ბოლო დროს, ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის გამო, ერთობ მოუხშირეს ავტომანქანებმა გარღვეული ჯებირებიდან მტკვარში ტყაპატყუპს და ცივი აბაზანების მიღებას! ამიტომაც, მოსალოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, ხომ არ ჯობდა, იმ ადგილებზე, თუ სხვა არაფერი, ფირფიცარი მაინც აგვეფარებინა?

აღნიშნული უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს უსაფრთხო მგზავრობას!

**მ. არაგველი**

ნახ. რ. ჯაფარიძ

უსიტყვოდ

უსიტყვოდ

ნახ. ვ. კუციანი

უსიტყვოდ



ნახ. რ. გვირჯიშვილის

უსიტყვოდ

უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა
202
78

7-78



78-202
ეროვნული ბიბლიოთეკა
Индекс 76137

— ეტყობა, ძველ ეგვიპტეშიც არ იცავდნენ კვების რეჟიმს!..

მთავარი რედაქტორი ზურღან გემაზაშვილი სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ◖ გადაეცა ასაწყობად 23/III-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-78 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 914 უე 00728 ტირ. 146.760 Тбилиси, пр. Руставели № 42, Сатирико-юмористический журнал «Нианги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახატი თემების ავტორები: ბ. აბაშიძე, ა. ადეიშვილი, რ. გვირჯიშვილი, ვ. კუტია, ბ. ლომიძე, ა. ოქროპირიძე, ბ. ფირცხალავა, რ. ჯაში.